მსაჯი არ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე
“დინამო” (თბილისი) – “შრ. რეზერვები” (ლენინგრადი)

10 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულა – ასეთი “აქტივით” დაამთავრა პირველი და დაიწყო გათამაშების მეორე წრე თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა.

მიუხედავად ამისა, ლენინგრადის “შრომითი რეზერვების” ფეხბურთელებთან თბილისის დინამოელთა შეხვედრამ დედაქალაქის მშრომელებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირველი ურთიერთშეტევების შემდეგ სტუმრების მარჯვენა შუამარბმა კოლობოვმა მარტივი ფინტით მოატყუა ნ. გაგნიძე, გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ზუსტად ჩააწოდა კარის წინ, სადაც “დინამოს” მცველებს დაასწრო ტენიაგინმა და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით მაღალ კუთხეში გახსნა ანგარიში.

მე–9 წუთზე “შრომითი რეზერვების” მარჯვენა გარემარბმა ცვეტკოვმა მარცხნივ გადაინაცვლა და ორჯერ სახიფათოდ შეუტია თბილისელთა კარს. პირველად მცველებმა მოიგერიეს შეტევა, მაგრამ მეორეჯერ ცვეტკოვი სწრაფად გავიდა თავისუფალ ადგილზე და დაარტყა კარში. მარღანიამ და სარჯველაძემ ერთად განიზრახეს ბურთის მოგერიება, ერთმანეთს ხელი შეუშალეს და “დინამოს” კარში მეორე ბურთი გავიდა.

კარგა ხანს ვერ შეძლეს მასპინძლებმა თამაშის გადატანა მოწინააღმდეგის ნახევარზე. მე–16 წუთზე ბურთმა დიდხანს იმოგზაურა მოთამაშეთა შორის და კოტრიკაძემ, დაბალი დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა.

ლენინგრადელებს აშკარად დაეტყოთ დაღლა. თავდამსხმელები ჩვეული სისწრაფით ვეღარ მოქმედებდნენ, მაგრამ მათი ცალკეული გარღვევები მაინც მეტად სახიფათო იყო. დინამოელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მახარაძე, რომელიც ხშირად და სახიფათოდ გადიოდა მოწინააღმდეგეთა შორის და აქტიურად ეხმარებოდა თავდამსხმელებს.

დინამოელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა, ხოლო ერთხელ, როცა ღოღობერიძემ მოატყუა მცველი და მეკარესთან ბრძოლაშიც გავიდა, მას ლენინგრადელმა მცველმა დონცოვმა უხეშად მიარტყა ფეხი და ბურთი დააკარგვინა. მსაჯმა ნ. დუმინმა (კუიბიშევი) ეს ვერ “შენიშნა” და არ დააჯარიმა დამნაშავე.

35–ე წუთზე “დინამომ” ანგარიში გაათანაბრა. ღოღობერიძის ზუსტი გადაცემა მიიღო ანთაძემ, სწრაფად გავიდა წინ, მაგრამ ორმა მცველმა დაუშვებელი ხერხით ჩაკეტა იგი. 11–მეტრიანი საჯარიმო ღოღობერიძემ დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა – 2:2. დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა.

მეორე ტაიმი სტუმრების მწვავე შეტევით დაიწყო და მარღანიამ ზედიზედ აიღო სახიფათო ბურთები კოლობოვისა და სოლოვიოვისაგან. ლენინგრადელები ერთხანს მეტად სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ დინამოელებმა კვლავ გაათანაბრეს თამაში – მათ მოწინააღმდეგის კართან 2 წუთის განმავლობაში სამჯერ მოაწოდეს კუთხური საჯარიმო. გარდატეხა თითქოს მოხდა, მაგრამ მე–17 წუთზე მახარაძესთან ბურთისათვის ბრძოლის დროს ტენიაგინი წაიქცა და მსაჯმა 11–მეტრიანი დანიშნა. სოჩნევმა ძლიერად და ზუსტად დაარტყა კარში – 3:2.

ლენინგრადელი ფეხბურთელები საკმაოდ იოლად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და ანგარიშის შენარჩუნებისათვის დროის განზრახ, უადგილოდ გაჭიანურებასაც არ ერიდებოდნენ. საერთოდ, შეხვედრის ბოლო წუთები

თამაშს ნაკლებად ჰგავდა – მატჩი დამთავრდა ლენინგრადის “შრომითი რეზერვების” სასარგებლოდ, ანგარიშით 3:2.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ნ. დუმინის უხეში შეცდომებით აღსავსე, მეტად დაბალი კვალიფიკაციის მსაჯობა. იგი მეტწილად ვერ ერკვეოდა ელემენტარულ სიტუაციაშიც კი, იბნეოდა, ხშირად სჯიდა დამნაშავის სასარგებლოდ. მას არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონდა მოედანზე. რა თქმა უნდა ასეთი მსაჯი, როგორც დუმინია, ვერ მოემსახურება “ა” კლასის ოსტატთა შეხვედრებს და მხოლოდ არევდარევას შეიტანს მატჩში. სწორედ ამის მიზეზი იყო ის, რომ მოედანზე სპორტული ბრძოლის ნაცვლად ადგილი ჰქონდა დაუშვებელ, შეუწყნარებელ უხეშობას.

რაც შეეხება თბილისის “დინამოს”, უნდა ითქვას, რომ იგი არ არის თავის ჩვეულ ფორმაში. საჭიროა გუნდის ხელმძღვანელობამ, მთელმა კოლექტივმა ყველა ზომა იხმარონ რათა გამოასწორონ სამარცხვინო, საგანგაშო ჩამორჩენა. გუნდი გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარშია და გაშვებული ბურთების რაოდენობით პირველ ადგილზეა 13 გუნდს შორის. ყველა ჩემპიონატის ისტორიაში თბილისელებს პირველად აქვთ ბურთების უარყოფითი შეფარდება. ჩვენი რესპუბლიკის პირველ გუნდს ეს არ შეჰფერის.

“ლელო”, 4 ივლისი, 1954 წ.